



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



ილიაუნის
განვითარების სამსახური

აღწერა:

განვითარების სამსახური ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, ადმინისტრაციულ პერსონალსა და სტუდენტებს დახმარებას უწევს უნივერსიტეტის ინსტიტუციური და კვლევითი განვითარებისთვის დაფინანსების წყაროების მოძიებაში. განვითარების სამსახური ცენტრალიზებული ერთეულია, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული ინიციატივების გავრცელებას. იგი განიხილება როგორც შუამავალი რგოლი დონორსა და უნივერსიტეტში გრანტების განმხორციელებელ გუნდს შორის.

განვითარების სამსახური ეხმარება უნივერსიტეტის თანამშრომლებს როგორც გრანტის წერის, ასევე მისი ადმინისტრირების პროცესში. გარდა ამისა, სამსახური უზრუნველყოფს დონორების მიერ გრანტების განხორციელებისთვის განსაზღვრული რეგულაციების დაცვას და აწარმოებს კვლევებს გარე დაფინანსების მიღების შესაძლებლობების დასადგენად.

მიზანი:

განვითარების სამსახურის თანამშრომლები დაგეხმარებიან:

- დონორისა და დაფინანსების წყაროს მოძიებაში ინსტიტუციონალური და კვლევითი გრანტებისთვის;
- ადგილობრივ და საერთაშორისო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თუ კერძო სექტორთან კონტაქტების დამყარებაში;
- საგრანტო განაცხადის შედგენაში. კერძოდ: კონსულტაციებს გაგიწევინებთ სააპლიკაციო ფორმის შევსების პროცესში; საგრანტო განაცხადის საბოლოო ვერსიას შეათანხმებენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; დაგეხმარებიან კონსორციუმის შექმნაში და დონორი ორგანიზაციის თანამშრომლებთან პარტნიორობის დამყარებაში; საჭიროების შემთხვევაში, შეიტანენ შესწორებებს საგრანტო განაცხადსა და ბიუჯეტში; დონორთან გაგზავნამდე გადაამოწმებენ საგრანტო განაცხადის საბოლოო ვერსიას; აწარმოებენ დაფინანსებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს, მათ შორის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე; უზრუნველყოფენ კონტრაქტის ხელმოწერას უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან.

საკონტაქტო ინფორმაცია:

🏠 ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირი №3/5, E 105 და F213

✉ development@iliauni.edu.ge

☎ (+995 32) 222 00 09 (316/ 317)